ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3665220

ნომერი: AR1553977

თარიღი : 01.11.2017

გაცემის თარიღი : 14.12.2017

გაცნობის თარიღი : 14.12.2017

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა უ.ჩხეიძე , N 18 ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ია ტრაპაიძე პ/ნ 35001062333
- შარტავას ქუჩა N 35/37,ბინა 177

ორგანიზაცია:
- ვისტა კოდი: 404530209

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- ქალაქმშენებლობითი პარამეტრების გაზრდა

„საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების“ და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30

დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის“ თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი 2017 წლის 1 ნოებრის AR1553977 განცხადება, რომელშიც ითხოვთ ქ.თბილისში, უშანგი ჩხეიძის ქუჩა N18-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი:# 01.13.08.010.031) პარამეტრების გაზრდას სასტუმროს განთავსების მიზნით,

პასუხად გაცნობებთ, რომ საკითხი განიხილა „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭოს“ 2017 წლის 2 ნოებრის N44 სხდომამ. საბჭოს რეკომენდაციით უარი ეთქვა ქ.თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, უშანგი ჩხეიძის ქუჩა #18-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.13.08.010.031) სასტუმროს განთავსების მიზნით, ქალაქმშენებლობითი პარამეტრების გაზრდას. საკითხი ასვე განიხილა –„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტისა და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს წარმომადგენელთაგან ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს“ 2017 წლის 2 ნოებრის N44 სხდომამ და მიეცა დადებითი შეფასება ქ. თბილისში, უ. ჩხეიძის ქ. N18-ში სასტუმროს განთავსების მიზნით ქალაქმშენებლობითი პარამეტრების (კ1=0.5-დან კ1=0.7-მდე; კ2=2.5-დან კ2=4.0-მდე) მომატების საკითხს ესკიზის შეთანხმების გარეშე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს თქვენი 2017 წლის 1 ნოებრის AR1553977 განცხადება.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.